ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის

ოქმი № 46

2010 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. მოლეკულური ნეირობიოლოგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო განაცხადების განხილვა;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვაკანტურ პოზიციაზე შემოსული განცხადებების განხილვა და არჩევა;
3. თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი შალვა სიხარულიძის განცხადების განხილვა ინსტიტუტისა და ბაღის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით;
4. თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის არჩევნების ცნობად მიღება. დირექტორად არჩეულ იქნა პროფესორი ზურაბ თავართქილაძე;
5. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტისათვის გეოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ცვლილების განხილვა და დამტკიცება.
6. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე „ცივი ომის შემსწავლელი ცენტრის“ დაარსების საკითხის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის კულტურული ასტრონომიის ლაბორატორიის დაარსების საკითხის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
8. დოქტორანტ დავით აფხაზავასა და ხათუნა ფარქოსაძისათვის რეცენზენტების გამოყოფა და სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება;

9. დოქტორანტ თამარ სუხიშვილისათვის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება;
10. დოქტორანტ მაია ყუფარაძისათვის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება;
11. 2010 წლის ბიუჯეტის ცვლილების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
12. სპორტის ფაკულტეტთან არსებული ცენტრის -"სპორტის აკადემიის" მიერ მომზადებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამის- ,,ფიზიკური განათლებისა და სპორტის გაკვეთილების დაგეგმვა და წარმართვა დაწყებით, საბაზო და საშუალო სკოლებში" განხილვა და დამტკიცება;
13. ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედი სასწავლო პროგრამების განხილვა და დამტკიცება;
14. ხელოვნების კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის დებულებისა და პროგრამის განხილვა და დამტკიცება ;
15. ბოტანიკური ბაღების სტრატეგიისა და მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების საკითხის განხილვა და დამტკიცება.
16. მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტში საბჭოთა კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე ღია კონკურსის გამოცხადების საკითხის გახილვა და დამტკიცება.
17. ცოდნის ეკონომიკის ინსტიტუტში განათლების კვლევების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თნამდებობაზე კონკურსის გამოცხადება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. გიორგი ბახტაძე;
5. დავით თარხნიშვილი;
6. მალხაზ მაყაშვილი;
7. გიორგი მენაბდე;
8. გიგა ზედანია;
9. ბელა წიფურია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები

2010 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს - მოლეკულური ნეირობიოლოგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულად გამოცხადდეს მაია ნოზაძე;
2. დადგინდეს - ფარული კენჭისყრით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩეულ იქნას ნინო ჟვანია და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
3. დადგინდეს - თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტს მათივე მოთხოვნით გადაერქვას სახელი და ეწოდოს „საქართველოს ეროვნული ბოტანკური ბაღი” საკითხი გაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს;

4. დადგინდეს - ცნობად იქნას მიღებული თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში ჩატარებული დირექტორის არჩევნების შედეგები, სადაც არჩეულ იქნა პროფესორი ზურაბ თავართქილაძე.
5. დადგინდეს - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე შეიქმნას „ცივი ომის შემსწავლელი ცენტრი“ და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
6. დადგინდეს - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე შეიქმნას „კულტურული ასტრონომიის ლაბორატორია“ და საკითხი წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
7. **დამტკიცდეს -** დოქტორანტ ხათუნა ფარქოსაძის სადოქტორო ნაშრომისათვის დამტკიცდეს რეცენზენტთა შემდეგი შემადგენლობა: მანანა ნემსაძე, ეკა ლეფსვერიძე, მაია ბურჯანაძე, ხოლო სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: დავით მიქელაძე - საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი გამყრელიძე, გიორგი გეგელაშვილი, ელენე ჟურავლიოვა, თამარ ბარბაქაძე. დავით აფხაზავას სადოქტორო ნაშრომისათვის დამტკიცდეს რეცენზენტთა შემდეგი შემადგენლობა: ლალი შანშიაშვილი, ნინო ნაცვლიშვილი, ელენე დავითაშვილი.
8. დამტკიცდეს - დოქტორანტ თამარ სუხიშვილის სადოქტორო ნაშრომისათვის შეიქმნას სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ნინო დობორჯგინიძე- თავმჯდომარე, შუქია აფრიდონიძე, ლევან გიგინეიშვილი, ცირა ბარბაქაძე, ხოლო მაია ყუფარაძისათვის შექიმნას სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ნათელა იმედაძე- თავმჯდომარე, რეზო კორინთელი, დარეჯან კახიანი, მალხაზ მაყაშვილი, თამარ ტალიაშვილი.
9. დადგინდეს - მოწონებულ იქნას 2010 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები წარმოდგენილი სახით და დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
10. დადგინდეს - უარი ეთქვას ბიზნესის ფაკულტეტს სასწავლო პროგრამების განხილვასთან დაკავშირებით პროგრამების არასრულყოფილად წარმოდგენის გამო

დაევალოთ პროგრამების სათანადოდ მომზადება და აკადემიური საბჭოსთვის ხელახლა წარმოდგენა.

11. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას სპორტის ფაკულტეტთან არსებული ცენტრის - ”სპორტის აკადემიის” მიერ მომზადებული მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამა - ,,ფიზიკური განათლებისა და სპორტის გაკვეთილების დაგეგმვა და წარმართვა დაწყებით, საბაზო და საშუალო სკოლებში”. მი ეცეს ცენტრს თანხმობა, წარადგინოს აღნიშნული პროგრამა მასწავლებელთა გადამზადების ცენტრში აკრედიტაციის გასავლელად.
12. **დამტკიცდეს** - ხელოვნების კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ხოლო დებულება წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
13. **დადგინდეს** - გამოცხადდეს ღია კონკურსი 2010 წლის 7 დეკემბრიდან ბოტანიკური ბაღების სტრატეგიისა და მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, შემოსული განცხადებები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული.
14. **დამტკიცდეს - გამოცხადდეს ღია კონკურსი 2010 წლის 6 დეკემბრიდან** მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტში საბჭოთა კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე, შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს აკადემიურმა საბჭომ.
15. **დამტკიცდეს** სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის გეოლოგიის სადოქტორო პროგრამა მოდიფიცირებული სახით.
16. **დამტკიცდეს** - 2010 წლის 21 დეკემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **ცოდნის ეკონომიკის ინსტიტუტში განათლების კვლევების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.**

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

მაია თევზაძე